ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №156

2011 წლის 15 დეკემბერი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტში გარე რეკლამის განთავსებაზე საწყისი საპრივატიზაციო ფასის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 16-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2011 წლის 27 სექტემბრის №01-41/1809 მომართვის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტში გარე რეკლამის განთავსებაზე საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 10 (ათი) ლარის ოდენობით.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა თავმჯდომარეს (რ. კარალიძე).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**